

TSE LANGUAGE AND STYLE OF TAMAR NIKURADZE'S "TSIGRIT"

თამარ ნიკურაძის „ციგრიტის“ ენა და სტილი

Nana Tsetskhladze

Doctor of Philological Sciences,
Associate Professor of Batumi Shota Rustaveli State University,
Batumi, Rustaveli/Ninoshvili st., №32/35, 6010, Georgia,
+995595917811, nana.tsetskhladze@bsu.edu.ge
<https://orcid.org/0000-0002-7347-0033>

Abstract. The present study aims to examine the language and style of the grotesque work *Tsigrit* (“A Real Fairy Tale”) by poet and prosaist from Batumi –Tamar Nikuradze, highlighting the mechanisms through which the author constructs a powerful social satire. The article is based on a systematic analysis of the work’s thematic structure, linguistic experimentation (including neologisms such as occasional verbs, compounds, and onomastic units), lexical features (particularly the replacement of foreign terms with neologisms), as well as original artistic devices and stylistic figures.

Life in the text is presented metaphorically: individuals seemingly paint it with their own hands, as both choices depend on them. However, this process is obstructed by *Tsigrit* –a rapidly progressing, metaphorically depicted social malady that deforms consciousness; as a result, desires are detached from reality, emotional freedom is fictional, and responsibility is constantly deferred. The central idea of the work emphasizes the urgent need to “treat” the malady of *Tsigrit*, as its prognosis is fatal.

The author constructs a refined stylistic framework in which word-formation innovations function as instruments of social critique. This bold linguistic experimentation is not merely an aesthetic choice; rather, it may also be interpreted as a strategy for the active utilization of native language resources in the context of globalization.

The work demonstrates how occasional word formation can be effectively employed as a means of social criticism. It contributes to the study of the creative potential of the Georgian language as well as to the analysis of the author’s individual style.

The text exhibits distinctive features of postmodernism, including the fusion of the real and the unreal, surrealism, symbolism, genre hybridity, linguistic experimentation, irony, and grotesque. This combination produces a narrative that is fantastical, allegorical, expressive, and socio-culturally relevant.

The findings of the study may be applied in courses on stylistics, as well as in the study of an author’s language and style, and can support further linguistic and discourse-based research on occasionalisms and language experimentation.

Keywords: modern Georgian prose; social diagnosis; style; satire; irony; grotesque; occasionism.

ნანა ცეცხლაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ბათუმი, რუსთაველი/ნინოშვილის ქ., №32/35, 6010, საქართველო,
+995595917811, nana.tsetskhladze@bsu.edu.ge
<https://orcid.org/0000-0002-7347-0033>

აბსტრაქტი. წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ბათუმელი პოეტისა და პროზაიკოსის – თამარ ნიკურაძის გროტესკული თხზულება „ციგრიტი“ (რეალური ზღაპარი) ენისა და სტილის შესწავლას, იმ მექანიზმების გამოვლენას, რომელთა საშუალებითაც მწერალი ქმნის მძლავრ სოციალურ სატირას.

სტატია ეფუძნება ნაწარმოების თემატიკის, ენობრივი ექსპერიმენტების (ნეოლოგიზმების: ოკაზიური ზმნების, კომპოზიტებისა და ონომასტიკური ერთეულების), ლექსიკური თავისებურებების (უცხო ტერმინების ნეოლოგიზმებით ჩანაცვლება), ასევე ორიგინალური მხატვრული ხერხებისა და სტილისტიკური ფიგურების სისტემურ ანალიზს.

ტექსტში ცხოვრება მეტაფორულადაა წარმოდგენილი: ადამიანები მას თითქოს თავიანთი ხელით ხატავენ, არჩევანი სწორედ მათზეა დამოკიდებული, თუმცა მათს თავისუფლებას აფერხებს „ციგრიტი“, სწრაფად პროგრესირებადი დაავადება, რომელიც ცნობიერების დეფორმაციას იწვევს; ამის შედეგად სურვილები რეალობას აცდენილია, ემოციური თავისუფლება ფიქციაა, ხოლო პასუხისმგებლობა – მუდმივად გადავადებული. ნაწარმოების მთავარი იდეა ციგრიტის დაუყოვნებელი მკურნალობის აუცილებლობის ხაზგასმია, რადგან მისი პროგნოზი ფატალურია.

ავტორი ქმნის რაფინირებულ სტილს. მისი სიტყვაწარმოებითი ინოვაციები საზოგადოებრივი კრიტიკის ინსტრუმენტად გვევლინება. ეს გაბედული ენობრივი ექსპერიმენტი არა მხოლოდ ესთეტიკური არჩევანია, არამედ შესაძლოა, გლობალიზაციის პირობებში მშობლიური ენის რესურსების აქტიური გამოყენების სტრატეგიასაც წარმოადგენდეს.

ნაწარმოები გვიჩვენებს, თუ როგორ შესაძლებელი ოკაზიური სიტყვაწარმოების გამოყენება სოციალური კრიტიკისთვის. ნაშრომი ხელს შეუწყობს ქართული ენის შემოქმედებითი რესურსებისა და ავტორის ინდივიდუალური სტილის კვლევას.

ტექსტში გამოხატულია პოსტმოდერნიზმის ნიშნები: რეალურისა და ირეალურის შერწყმა, სიურეალიზმი, სიმბოლიზმი, ჟანრობრივი ჰიბრიდულობა, ენობრივი ექსპერიმენტები, ირონია და გროტესკი. ეს კომბინაცია ქმნის ფანტასტიკურ, ალეგორიულ, ექსპრესიულ, სოციოკულტურულად აქტუალურ ნარატივს.

კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სტილისტიკის, ასევე მწერლის ენისა და სტილის სასწავლო კურსებში, ოკაზიონიზმებისა და ენობრივი ექსპერიმენტების შემდგომი ლინგვისტური და დისკურსული კვლევებისათვის.

საკვანძო სიტყვები: თანამედროვე ქართული პროზა; სტილი; სოციალური დიაგნოზი; ირონია; სატირა; გროტესკი; ოკაზიონიზმი.

შესავალი. თამარ ნიკურაძის „ციგრიტი“ (რეალური ზღაპარი) თანამედროვე ქართული პროზის იშვიათი ნიმუშია, რომლის სტილიც თვითმყოფადი და მრავალასპექტიანია. ნაწარმოებმა მკითხველთა ფართო წრის დაინტერესება გამოცემისთანავე გამოიწვია, რადგან ის ეხება თანამედროვე ადამიანის ფსიქოეთიკურ დილემებს, შეიცავს ენობრივ ექსპერიმენტებს და ამავე დროს სტილი ლაპიდარულია.

საკითხი სრულიად ახალია და სათანადოდ არ არის შესწავლილი. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, მწერლის ენისა და სტილის შესწავლა, „მხატვრული ტექსტის ენობრივი ანალიზი აუცილებელ პირობად ვარაუდობს ორი მომენტის გარკვევას: ა) რას აძლევს მწერალი ენას, ანუ: როგორ და რით ამდიდრებს იგი ენას; ბ) რას აძლევს ენა მწერალს“ (ჯორბენაძე, 1983: 28).

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ენისა და სტილის გაანალიზებით სცადოს, გაარკვიოს, რით არის გამორჩეული „ციგრიტი“ და რა ადგილს დაიჭერს ქართველი ხალხის სულიერ მემკვიდრეობაში.

ნაშრომში პასუხი გაეცემა შემდეგ საკვლევ კითხვებს: რა არის ციგრიტი? როგორია ნაწარმოების თემა, იდეა, მიზანდასახულობა? რა როლი აქვს გროტესკულობას სოციალური კრიტიკის გამძაფრებაში? რატომ და რისთვის ქმნის ავტორი ოკაზიონიზმებს? რა ტიპის დერივაციულსა და კომპოზიციურ მოდელებს იყენებს ნეოლოგიზმების შესაქმნელად? როგორ ემსახურება ონომასტიკური სტრატეგია ნაწარმოების იდეის ხორცშესხმას? წარმოადგენს თუ არა უცხოური ტერმინების ქართული ლექსიკური რესურსებით ჩანაცვლება შეგნებულ ენობრივ პოლიტიკას?

ნაშრომის მიზანია ნაწარმოების იდეის გამოსახატავად ენობრივი და სტილისტიკური თავისებურებების ფუნქციონირების მექანიზმების აღწერა. **კონკრეტული ამოცანებია:** იდეური ანალიზი, ნეოლოგიზმების კლასიფიკაცია; კომპოზიტების მორფოსემანტიკური ანალიზი; ონომასტიკის სემიოტიკა; დიალოგების დატვირთვის გაანალიზება, სივრცისა და გარემოს ალეგორიული მნიშვნელობის შესწავლა; ნეოლოგიზმების, მეტაფორების, გროტესკის, სატირისა და ირონიის როლის განსაზღვრა, ლექსიკური ავტონომიზაციის მექანიზმებისა და მათი დანიშნულების გამოვლენის მცდელობა.

ჩვენი ჰიპოთეზაა შემდეგი: თხზულებაში მოცემული თანამედროვე ადამიანის სულიერი მდგომარეობის გამომხატველი მეტაფორული დიაგნოზი მკითხველს თვითშემეცნებაში ეხმარება, ენობრივი ექსპერიმენტები კი ფუნქციონირებს, როგორც სოციალური დიაგნოსტიკის მექანიზმი.

მეთოდები. კვლევა ეფუძნება კომპლექსურ მიდგომას. მეთოდოლოგიური პრინციპებია: **ტექსტოლოგიური ანალიზი** – თემის, იდეის, მიზანდასახულობის, ასევე სტილური და სტილისტიკური თავისებურებების სისტემური შესწავლა;

სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი – ნეოლოგიზმებისა და კომპოზიტების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი;

სტილისტიკური ანალიზი – ტროპებისა და სტილისტიკური ფიგურების (მეტაფორა, ანტითეზა, ირონია) ფუნქციური დატვირთვის განსაზღვრა;

ლექსიკოლოგიური კვლევა – უცხო ტერმინების ნეოლოგიზმებით ჩანაცვლება და მისი ფუნქცია.

შედეგები. თამარ ნიკურაძის „ციგრიტი“ წარმოადგენს თანამედროვე ქართული პროზის უნიკალურ სიურეალისტურ თხზულებას, რომელიც სოციალურ პრობლემებს მეტაფორული გზებით წარმოაჩენს.

მნიშვნელოვანია, რომ „ციგრიტი“ აღწერს ადამიანის ემოციური თავისუფლებისა და არჩევანის შეზღუდვას, სადაც სოციალური სტერეოტიპები, ჰედონიზმი და გენდერული ნორმები მოქმედებს, როგორც სენი, რომლის სახეობებსაც ავტორი ოკაზიონიზმებით გადმოგვცემს. ნაწარმოების ძირითადი იდეა პრობლემის დაუყოვნებელი გადაჭრის აუცილებლობაა, რადგან მისი უგულებელყოფა ფატალურ შედეგებს გამოიწვევს.

„ციგრიტის“ ლაკონიური სტილი მკითხველს საშუალებას აძლევს, სწრაფად აღიქვას ტექსტის ღრმა სოციალური შინაარსი.

ენობრივი ექსპერიმენტები ქმნის მდიდარ, ინოვაციურ მეტყველებას. ნაშრომში სიტყვაწარმოება გამოიყენება, როგორც მანკიერებების დიაგნოზის ინსტრუმენტი. ტექსტში გამოიყენება ნეოლოგიზმები, ოკაზიური ზმნები, კომპოზიტები და ანთროპონიმები, რომლებიც არა მხოლოდ მხატვრულ, არამედ სოციალური კრიტიკის ფუნქციასაც ასრულებენ.

ტექსტში გამოხატულია პოსტმოდერნისტული ნიშნები: რეალურისა და ირეალურის შერწყმა, სიურეალიზმი, სიმბოლიზმი, ჟანრობრივი ჰიბრიდულობა, ირონია და გროტესკი. ონომასტიკური სტრატეგია და ტოპონიმები ამძაფრებს სოციალური პრობლემების აღქმას და ხელს უწყობს თვითშემეცნებას.

მსჯელობა. თამარ ნიკურაძის სიურეალისტური ნაწარმოები „ციგრიტი“ თანამედროვე საზოგადოებრივი პრობლემების გააზრებით, ორიგინალური მხატვრული ხერხებით, სტილისტიკური ფიგურებითა და სიტყვაწარმოების მდიდარი შესაძლებლობებით გამოირჩევა. შინაარსი ღრმა და ტევადია, ფორმა კი ლაკონურია და თანამედროვე მოუცლელი მკითხველის მოთხოვნებსაა მორგებული, რაც ტექსტს განსაკუთრებულ ორიგინალურობას ანიჭებს.

თამარ ნიკურაძე, როგორც ავტორი, ითვალისწინებს დროის დეფიციტს და გადატვირთულ მკითხველს მცირე დროში „უმკურნალებს“, „ციგრიტაცრილს“ გახდის.

წიგნის რედაქტორი მწერალი გიორგი კეკელიძე წინასიტყვაობაში წერს: „ცხოვრების ყველაზე ტრაგიკული პასაჟი ზღაპრულობის დაუნახაობაა – არავის გვყოფნის ამისთვის დრო. ამიტომ ისეთი წიგნები, როგორც „ციგრიტა“, მანსს გვაძლევს, ის წამი შევაჩეროთ, რომელიც შევამჩნიეთ და ვერ გავაცნობიერეთ (როგორც ეს საბჭოთა ანიმაციაშია „ზღარბი ნისლში“), ან კიდევ – ისე ჩაიარა, რაღაც საბუთებს ვავსებდით და ვერ გავიგეთ“ (ნიკურაძე, 2023:5).

ეს ის შემთხვევაა, როცა სტილი ავტორის მსოფლმხედველობას ორგანულად შეესაბამება. როგორც ფრანგი ბუნებისმეტყველი, მათემატიკოსი, კოსმოლოგი და მწერალი ჟორჟ-ლუი ლეკლერკ დე ბიუფონი მიიჩნევდა, „სტილი თვითონ ადამიანია“: „Le style c'est l'homme même“ (Buffon, 1939). ამასთან, მწერლის ენაში მართალია, „ყოველგვარი სტილური ვარიაცია მსოფლმხედველობით არ წარმოადგენს, მაგრამ ის ყოველთვის ახასიათებს მოლაპარაკის ცნობიერებას“ (ცეცხლაძე, ხახუტაიშვილი, 2014: 31).

რუსული ტექსტის რედაქტორის – ნანა ქაჯაიას შეფასებით, „ავტორი თითქოს ქმნის პოსტმოდერნისტული რეალობის მოდელს, სადაც ყოველდღიურობის თვალსაზრისით ყველაფერი უჩვეულო ფორმას იძენს, ყოველივე ამის უკან კი დგას ყოფითი და აქტუალური საკითხები“ (ნიკურაძე, 2023: 111).

ტექსტის ნარატივი პოსტმოდერნისტული და მეტაფორულია. **ციგრიტი** დაავადების სახელია, რომელიც მისი აღმომჩენის გვარს უკავშირდება, „...სამი მეცნიერის ბრძოლიდან მხოლოდ ციგრიტიანი გადარჩა... დაავადებას თავისი სახელი უწოდა... კვლევა, მართალია, უშედეგოდ, მაგრამ მაინც განაგრძო“ (ნიკურაძე, 2023:8).

ეს სენი რაღაც დოზით ყველას აწუხებს. ციგრიტით დასნეულებულთა რიცხვი სწრაფად იზრდება. ავტორის იდეა ასეთია: „სასწრაფოდ თუ არ ვიტვინეთ რამე, დაავადება ყველას წალეკავს“ (ნიკურაძე, 2023: 57).

„ციგრიტის“ სტილის ლაკონიურობა მინიმალიზმს არ ნიშნავს: ფრაზა ხშირად მოკლეა, მაგრამ სემანტიკურად დატვირთული. ტექსტი აგებულია გროტესკზე, ირონიასა და სარკაზმზე, რაც სოციალურ კრიტიკას მხატვრულ ფორმას აძლევს: მკითხველს ჯერ აცინებს, შემდეგ კი ღრმად დააფიქრებს რეალობაზე.

I. „ციგრიტის“ პრობლემეტიკა: სოციალური დიაგნოზი

„ციგრიტის“ თემატიკაა, რამდენად თავისუფალია ადამიანი ემოციურად, რითაა შეზღუდული ინდივიდუალური არჩევანი და რამდენად შეესაბამება ის რეალობას. ავტორი აკრიტიკებს სოციალურ სტერეოტიპებს, ჰედონისტურ კულტურას და გენდერულ ნორმებს, ზედმეტ მზრუნველობას, უმუშევრობას, პირადი სივრცის დაუცველობას, დიპლომის გაფეტიშებას და ა.შ.

ქართული ჰიპერმზრუნველობა რეალურად ახლობლების მხრიდან გაწეული დათვური სამსახურია, რომელიც ადამიანებს ართმევს თავისუფლებას, ღლის მათ. ამ

ღრმა სოციოკულტურული ტრადიციის შედეგად ჩვენ ირგვლივ მომრავლდნენ „დედების, დეიდების და ბებიების ზედმეტი სიყვარულით გადაღლილი ყმაწვილები,“ გრძნობაგამაგებით გაზრდილი ნანატრი შვილები. ასეთი პერსონაჟია გვიკუნა, ქალბატონი ნევრიკისა და ბატონი მაყუსის შეუღლებიდან სამი ხუთწლეულის დაგვიანებით გაჩენილი შვილი.

ეს არ არის ჟურნალისტური ქრონიკა, ავტორი ქმნის სარკეს, რომელშიც მკითხველს ახედებს, რათა საკუთარი სულიერი დეფორმაციების (**ბზიკვინტი, ჭუჭყრეტი, კრუნტვები, სკამხიბლი, მინდალიზმი, ცნობილიზმი**) ამოცნობაში დაეხმაროს. შესაძლებელია, მას ერთდროულად რამდენიმე აწუხებდეს, მაგრამ თავს არხეინად გრძნობდეს (ვიდრე „ციგრიტს“ წაიკითხავს), რადგან ადამიანი, ჩვენეული დაკვირვებით, სწორედ თავის ყველაზე დიდ ნაკლს ვერ ამჩნევს, პირიქით, ბედნიერად განაგრძობს მასთან თანაცხოვრებას, მის გარეშე ვერ ძლებს.

ღირებულებათა გადაფასების ეპოქაში ქორწინება მატერიალური სტატუსის გამყარებაზეა ორიენტირებული, ქალიშვილები მხოლოდ დიპლომიანსა და სერტიფიცირებულ ქმრებს ეძებენ. ბევრი ოჯახი ინგრევა „უჭუჭყინობით“, ანუ უფულობით.

ავტორი ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ მატერიალური ხშირად უპირის-პირდება სულიერს: ლოზუნგი ასეთია – **ქონება ქონების წილ**. ყველაფერი მხოლოდ ერთს – სიმდიდრისკენ სწრაფვას უკავშირდება, ამიტომაც სინატრულას ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობა სიმდიდრის ქანდაკებაა, მდიდრები ყურადღების ღირსადაც არ თვლიან მას, ღარიბები კი დღედაღამ მასზე ლოცულობენ. ეკონომიკა არასახარბიელო დღეშია, ქვეყანას უმუშევრობა აწუხებს, ზოგი დასაქმებული კიდევ ახალ სამსახურს იმატებს. კონკურსში მათ ადგილს უთმობს ის, ვისაც არცერთი სამსახური არ აქვს.

აქ გაკრიტიკებულია კორუფცია და ნეპოტიზმი: *ერთ-ერთი* პერსონაჟი **ფულსამ-სახურდახარბებული** დაეხეტებოდა, როცა ბიძამისმა კვლავ სამშობლოში დააბრუნა, იმის გარანტიით, რომ სამსახურს უშოვიდა.

კიდევ ერთი საკითხია პროფესიის არჩევისას საკუთარი მონაცემებისა და ინტერესების გათვალისწინების ნაცვლად ფულზე ორიენტირება. გვიანია ისეთ პროფესიას ირჩევს, რომლისგანაც შორსაა: „*სამსახური მამამ გვიანიკას სინატრულადან შეუძინა. ნაცნობები ჩარია, ფულიც გადაიხადა, ძლივს მოაწყო. გვიანიკა ოცნისის კონსერვატორიაში ჰობოიზე დაკვრის მასწავლებელია. მუსიკა ღრმად არ ესმის, მაგრამ საშუალო დონეზე უკრავს. მუსმოტრფიალე არასდროს ყოფილა. უბრალოდ, საკმაოდ ფულიანი ადგილია, ნიჭირეთის გრძნობადაცლილი საზოგადოებისთვის უკრავს*“ (ნიკურაძე, 2023:15).

ბათუმში ე.წ. „დაკუჭული ბოთლის“ ქანდაკების დადგმის ფაქტისადმი დამოკიდებულებას ავტორი უბრალო ადამიანების დიალოგით გადმოგვცემს, ქანდო ცვილამის პროექტი ტენდერში რომ იმარჯვებს:

„-კი, მაგრამ დაკუჭული ბოთლი რა დასადგმელია? ვერ გამიგია, როცა ერთჯერადი დაკუჭული ბოთლები არსებობს, ან თუნდაც სიმინდის მიშველი ტარო უფრო მიმზიდველი იქნება!

-მე პირადად მზესუმზირის ნაფცქვენს დავდგამდი“ (ნიკურაძე, 2023:15).

აღნიშნული ეპიზოდი შეიძლება განიმარტოს, როგორც სიმბოლოთა ირონიული დეკონსტრუქცია, რაც პოსტმოდერნისტულ ესთეტიკასთან ასოცირდება, თუმცა მისი ფუნქცია ტექსტში უფრო ფართო სატირულ კონტექსტში იკითხება.

მეტად საინტერესოა **რძალდედამთილიანის** პრობლემა: „*დედამთილსა და რძალს შორის ხშირად იმართებოდა გამანადგურებელი დუელივები. დედამთილი რძალს გულს უნადგურებდა, უშვილო ხარო, ჩემი შვილის ღირსი არ ხარო*“ (ნიკურაძე, 2023:15).

აქ ვხედავთ ფსიქოლოგიურ ძალადობას: მუდმივ დამცირებას („უშვილო ხარ“, „ჩემი შვილის ღირსი არ ხარ“), თვითშეფასების მიზანმიმართულ ნგრევას, დანაშაულის

გრძნობის ჩანერგვას; საზღვრების სრულ დარღვევას, კონტროლის მანიასა და ავტორიტარულ ქცევას: თანაგრძნობის ნაკლებობას, სხვისი ტკივილის იგნორირებას.

ქორწინებაში მესამე პირის მუდმივი ჩარევა მძიმე ტრავმის წყაროა. „თან მთელი სამი ხუთწლეული ნევრიკი და მაყუსი საძინებლის კარს ვერ კეტავდნენ, დედამთილს უნდა შეემოწმებინა, სწორად სრულდებოდა თუ არა ბავშვის ჩასახვის რიტუალი, რადგან ერთი სული ჰქონდა, როდის გაბეზავდებოდა“ (ნიკურაძე, 2023:15).

ავტორი ამ პასაჟით ინტიმური სივრცის დაუცველობას, ოჯახში სრული კონტროლის მექანიზმებს, პატრიარქალურ ცნობიერებას აკრიტიკებს.

საოჯახო ძალაუფლების დრამატული მოდელის მიხედვით დედამთილი გამოდის შთამომავლობის გაგრძელების მაკონტროლებლად. ის აღიქვამს რა ქორწინების ერთადერთ ფუნქციად მხოლოდ გვარის გაგრძელებას, სხვისი ინტიმურობის კონტროლსაც კი ლეგიტიმურად მიიჩნევს.

ავტორი ეხება **პოლარიზმის** თემას: ოცნისში ხალხის ორად არის გაყოფილი: ბედნიერებად და უბედურებად, ხოლო შუალედური, საშუალო ფენა ფაქტობრივად არ არსებობს.

ომის თემა: ნაწარმოების ფინალი მშვიდობიანობისკენ მოწოდებაა. შვილიშვილი ეკითხება ბაბუას: *-ბაბუ, ქვეყნები ერთმანეთს ომს რომ უცხადებენ და ებრძვიან, ხომ ცუდია?! არ შეიძლება, ომის ნაცვლად ერთმანეთს მშვიდობა გამოუცხადონ და სიკეთის კეთებაში შეეჯიბრონ?*

- *შვილიშვილის სიტყვების გამო თვალგაბურთული ბაბუ უეცრად ისე გაშრა, რომ სიმშრალისგან გახმა და ფეხები გაფშიაკა“* (ნიკურაძე, 2023:58).

მოკლედ, „ციგრიტი“ სოციალური პრობლემებისა და სულიერი დეფორმაციების მძაფრი დიაგნოზია, რომელიც გამიზნულია თვითშემეცნებისკენ, რათა მკითხველი მანკიერებებზე დაფიქრდეს.

II. „ციგრიტის“ ონომასტიკის სემიოტიკური ასპექტები

ნაწარმოების **ონომასტიკა** (მოლაპარაკე გვარები და სახელები, ტოპონიმები, დაავადებათა სახელები და ა.შ.) პერსონაჟთა ხასიათისა თუ ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიების კოდირებას ემსახურება, რითაც ნაწარმოები ღრმა სემიოტიკურ დატვირთვას იძენს. განვიხილოთ ცალკეული მათგანი.

II.1. მოლაპარაკე სახელები და გვარები

თანამედროვე ქართული პროზის კვლევაში ნეოლოგიზმთა, როგორც სოციალური დისკურსის ფორმათა, სისტემური ანალიზი ერთ-ერთ ნაკლებად დამუშავებულ მიმართულებას წარმოადგენს.

ნაწარმოები ყურადღებას იქცევს მოლაპარაკე გვარებითა და საკუთარი სახელებით: **გვიანიკა, წუწური, ნევრიკი, ბურღუნა, ნემსელი, კამათა, მაყუსი, სიცოცხლე...** პერსონაჟთა სახელები ფუნქციონირებს, როგორც შეფასებითი მარკერები, სოციალური ტიპაჟის ინდიკატორები, ირონიისა და ალეგორიის მატარებლები. შეიძლება ითქვას, ის ტექსტის ერთ-ერთი გამორჩეული შრეა, ონომასტიკური თამაშია და პერსონაჟთა ფსიქოტიპებს გვიჩვენებს.

დედამთილი **ბურღუნა** რძალს უბურღავს ტვინს, **მაყუსი** (მაყუთა, ფულიანი) სიმდიდრეს ეტრფის. **წუწური** შემთხვევით მოხვდა წყვილეთის უნივერსიტეტში, იქ, სადაც კონკურენცია ნაკლები იყო. მას გრძნობების მართვის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. სწავლის საფასური ორი ათასი ჭუჭყინი ღირდა, მაგრამ პოეტ მშობლებს ესეც არ ჰქონდათ. სპეციალობით სამსახური რომ დაეწყო, პატრონი ან ფული სჭირდებოდა – არც პატრონი ჰყავდა და არც ფული ჰქონდა. ის მეტად მძიმე სოციალურ რეალობაში ცხოვრობდა: უმუშევრობა, მცირე შემოსავალი და უპერსპექტივობა მისი ხვედრი იყო.

წუწური ემოციების ტყვე, სპონტანური გადაწყვეტილებების ადამიანია. მისი დევიზი ალოგიკური ფრაზაა: „წამოდი და უკან აღარასდროს დაბრუნდები“ (ნიკურაძე, 2023:54).

ნევრიკი ემოციურობასა და ნევროზულობაზე მიაჩნდება. ის „განათლებული ქალი გახლავთ, მას ოცნისის უნივერსიტეტის ნევროზის მართვის ფაკულტეტის იშვიათი ნევროზული მოვლენების მართვის სპეციალობის ბრჭყვიალა დიპლომი უდევს სახლში გამოუყენებლად, რადგან სპეციალობით არასოდეს უმუშავია“ (ნიკურაძე, 2023:11).

გვიანია სიყვარულის „ლატარიით“ მოგებაზე ოცნებობს. მინდალიზმს მისი „ტვინის ერთ-ერთი უჯრედი დროებით საცხოვრებლად უქირავია.“ იგი ინტენსიურად ნეგატივზეა ორიენტირებული.

კამათა (მინდალას მამა), რომელიც უზენაესი საკამათოს თავმჯდომარეა, სკამის გასათბობად დამსახურებულად აირჩიეს, კამათის დროს მას ბადალი არ ჰყავს.

ნარცია გონიერი, მაგრამ დაბნეულია: მას „ბრინჯის მარცვლების აკრეფის,“ ანუ ლოგიკური აზროვნების უნარი არ აქვს.

ერთ-ერთი პერსონაჟი მშვიდო ჩავგრია ერისტიკული კავშირის გენერალური დირექტორია და რამდენიმე საინტერესო პროექტის ხორცს ატყავებს.

მკურნალი ექიმის სახელ-გვარია მეცნიკ ტვინიანი. „ახლა კი მისი (ციგრიტის) კვლევა პროფესორმა მეცნიკ ციგრიტიანმა დაიწყო და ამიტომ დაავადებას მისი გვარის მიხედვით ციგრიტი ეწოდა“ (ნიკურაძე, 2023:7).

მოკლედ, პერსონაჟთა სახელ-გვარები ირონიულ-ალეგორიულია და სოციალური პრობლემების გამოკვეთას ემსახურება.

ორიგინალურია ფაკულტეტების/სპეციალობების, დაწესებულებებისა თუ სამინისტროების დასახელებებიც: ჰობის აჟღერების სპეციალობა, გრძნობების მართვის, ტვინის ბურღვის ან იშვიათი იდეების წარმოქმნისათვის ხელშეწყობის ფაკულტეტები, ფულის გათეთრების სამინისტრო და ა.შ.

ამრიგად, მწერლის ონომასტიკური სტრატეგია მკითხველს საკუთარ მანკიერებებსა თუ საზოგადოებრივ პრობლემებს შეამეცნებინებს, მათი ინტერპრეტაციის პროცესს უადვილებს და ამავედროულად ამძაფრებს სატირულ ეფექტს.

II.2. გეოგრაფიული სახელები

„ციგრიტის“ ტოპონიმებია: წყვილეთი, ირგვლივეთი, ნიჭირეთი, სინატრულა, ოცნისი, კუნძული ფანტაზია, ტკბილნარი. ისინი არარეალურ მენტალურ სივრცეებს წარმოადგენს. ტკბილნარის დეტალურ აღწერაში ჩანს მომხმარებლური კულტურის ირონიზაცია: იქ ადამიანების გრძნობები და სურვილები დეკორაციებითაა გამოსახული. ტკბილნარი კომერციული თუ ჰედონისტური კულტურის მეტაფორაა. კუნძული ფანტაზია ახალგაზრდობის და თავლობის ხანის სიმბოლოა. სინატრულა და ოცნისი ფაქტობრივად, მთლიანი ერის ოლუზორული აზროვნების კრიტიკას შეიცავს. ულამაზეს ოცნისს, ნიჭირეთის დედაქალაქს, სიყვარულის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქს, თუ ვინმე ნახავს, ვეღარ ტოვებს.

II.3. დაავადებათა სახელები და მათი მკურნალობის მეთოდები/საშუალებები

დაავადებათა სახელებია: ბზიკვინტი, ცნობილიზმი, ჭუჭყრეტი, სკამხიბლი... სიმპტომია კრუნტვები. ვინც დროზე არ მიხედავს მათ, ისინი პროგრესირდება და ქრონიკულ დაავადება ციგრიტად ჩამოუყალიბდება.

ნაწარმოების მიხედვით, ზოგ პაციენტს კლასიკური მუსიკის თერაპია უტარდება, ზოგს კიდევ განსხვავებული მიდგომა სჭირდება. ჭუჭყრეტით დაავადებულებს ერთი თვით სრულიად უფულოდ, ფუფუნების ნივთების გარეშე ღარიბულ ქოხში გზავნიან საცხოვრებლად. ბევრ პაციენტთან მკურნალობის ამ ხერხმა გაამართლა. ზოგი ექიმის

ნაცვლად მკითხავთან დადის, ბელადიზმისგან განსაკურნებელ წამლაპუდრს უკვეთავს, რომ თავმჯდომი ჩუმად და მოტყუებით განკურნოს, – ვკითხულობთ ტექსტში.

37 წლის ბიჭიკო პროფესორიშვილი უკვე მეორედ მოხვდა ექიმ ტვინიანთან სკამხიბლის დიაგნოზით. ჭორიუნის პრორექტორს რექტორობა უნდოდა. ის კლინიკაში სკამზე დაწებებული მიიყვანეს და ქირურგიულ ჩარევას საჭიროებდა.

მეტად საინტერესოა სახელია **სკამათალი**. ეს რვასათიანი ოპერაციაა სკამხიბლის სენით შეპყრობილი ადამიანებისთვის, რომლებიც თანამდებობას ისე ჩაეჭიდნენ, რომ დატოვებას არც არასდროს აპირებენ, ამიტომ სკამიდან მათი ათლაა ერთადერთი გამოსავალი. ოპერაცია **სკამათალი** ნარკოზის (ძილოზის) ღრმა დოზით კეთდება. ესეც ჩვენთვის კარგად ნაცნობი პრობლემაა, საზოგადო ჭირია, რასაც მმართველი პოლიტიკური პარტიები მუდმივად გვახსენებენ:

„- თავმჯდომი ისევ გაცივდა. უკვე მერამდენე ვადა შეეყარა?! - წვიპინტრა ხმით განაცხადა ერთ-ერთმა სკამაცდენილმა კანდიდატმა“ (ნიკურაძე, 2023: 51).

– როგორ უნდა აიცილოს ადამიანმა ციგრიტი? ვაქცინა სახელად „ა - მოკალი“ დიდი ხნის წვალების შემდეგ აპოკალიფსური ნაწილაკებით დაამზადეს. „ა-მოკალი“ – აშკარად ენობრივი თამაშია („ამოკალი“/„მოკალი“)...აპოკალიფსური ნაწილაკები“ ცივილიზაციის თვითგანადგურების ელემენტებს შეიცავს და გლობალური კატასტროფის ალფორიაა.

„ციგრიტის“ ინგლისურენოვანი გამოცემის რედაქტორი ჯეფრი გოსბი წერს, რომ თ. ნიკურაძის შემოქმედებითი წვის შედეგი „გამარჯებული რეალობის“ ოსტატურად შექმნილი ლინზაა, რომელშიც ავტორის მშობლიური ქვეყანა აირეკლება და Talentarea-ს სახელმწიფოდ გადაიქცევა. სწორედ ამ ლინზაში ნათლად გამოჩნდება XXI საუკუნის დაავადება ციგრიტი, რომელიც წარმოსახვით სამყაროში სწრაფად ვრცელდება. გვიანკასა და წუწურის ისტორიებს, რომლებსაც ქართული რეალობისთვის დამახასიათებელ მოვლენად აღვიქვამთ, სხვადასხვა დაავადებასთან ერთად (“Dirt-daze”, “Chair-charm,” “Big-namism,” “Boozing”) შეუძლია, ასევე, თანამედროვე მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრებ მკითხველზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინოს“ (ნიკურაძე, 2023: 51).

მოკლედ, თ. ნიკურაძის „ციგრიტში“ აღწერილი დაავადებები ზოგადსაკაცობრიო სენია, მაგრამ მცირერიცხოვანი ერისთვის საგანგაშოა.

III. სიტყვაწარმოებითი თავისებურებანი

სიტყვაწარმოებითი ინოვაციები ტექსტის სტილური მექანიზმია. ავტორი აქტიურად იყენებს კომპოზიციასა და დერივაციას, რის შედეგადაც სიტყვა ხშირად ფრაზის სემანტიკურ ეკვივალენტად გვევლინება. იშვიათ შემთხვევაში სიტყვას შლის სიტყვათშეთანხმებადაც.

III.1. ოკაზიური კომპოზიტები

თ. ნიკურაძის „ციგრიტში“ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს **ოკაზიური კომპოზიტები**: *სულსაცმელი, შფოთადიდებული, ჯიბეგასიებული...*

ზმნური ნეოლოგიზმების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში არაერთი ნაშრომი არსებობს. შესწავლილია „ვეფხისტყაოსნის“, მეხოტბეთა ენის, გალაკტიონის, გიორგი ლეონიძის და სხვათა სიტყვაწარმოების თავისებურებანი (იხ. გიგინეიშვილი, ივ. (1993), გიგინეიშვილი, ივ. (2014), კოშორიძე, ელ. (2010), ბერიძე, ნ. (2023)).

თანამედროვე ქართულ პოეტურ დისკურსში მრავლადაა ზმნური ოკაზიონიზმი, რომლებიც ხასიათდება ინფორმაციულობით, ლაკონიურობითა და ექსპრესიულობით. მათ აჯგუფებენ სხვადასხვა კრიტერიუმის, მაგ. გვარის, ფუძეებისა და მაზმნავებელ ელემენტთა მიხედვით, გამოყოფენ პარონომაზიულ სინტაგმებს (ზექალაშვილი, კიკნაძე, 2015), კალამზურულ ნეოლოგიზმებს, ასევე მიჯნავენ სხვადასხვა დროის ორ- და სამწევრა

მოდელს, აკვირდებიან მათ სემანტიკასაც (ინსტრუმენტატივი, გარდაქვეითობა). მაგალითად, „გარდაქვეითობის გამომხატველი მრავალი ნეოლოგიზმი გვხვდება გ. ლეონიძის ენაში. დაკანონებულ მოდელს არღვევს მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნათა ხმოვანპრეფიქსული წარმოების ინსტრუმენტატივები“ (ჭიკაძე, 2008: 266).

მკვლევრები მსჯელობენ იმაზეც, რომ „თუ ნასახელარი ზმნის ოკაზიური ფორმა, ე.წ. ერთჯერადი სიტყვა, სალიტერატურო ენაში დამკვიდრდება, ლექსიკური ფონდის გამდიდრების საშუალებად იქცევა. პროზასა და პოეზიაში განსხვავებულია ამგვარ ფორმათა შექმნის მიზეზები და შემდგომი გავრცელების შანსიც“ (ბერიძე, 2023).

ბუნებრივია, პოეზიის ენაში ბევრია ლექსთწყობით გამოწვეული ოკაზიონიზმი, მათ სხვაგვარი ახსნა ეძებნება, პროზაში კი სრულიად განსხვავებული სურათი გვაქვს. სახელდების აღნიშნული სტრატეგია ქართული პროზის ტრადიციაში გვაგონებს გურამ დოჩანაშვილის ენობრივ ექსპერიმენტებს, კომპოზიტთა კონდენსაციას, მთლიანი ფრაზის, ან წინადადების ერთ სიტყვად გარდაქმნასა და მისთვის ექსპრესიულობის მინიჭებას. ეს ოკაზიონიზმებია: *გულსულშიგანშემატკივარი, თეთრშარვალშემოტკეცილი, დაუმთავრებელვარსკვლავტატირებული, უცნაურმზერადაბინდული, ბოლოყლუპმინცნაპატიები...*

ამ გზითაა მიღებული თ. ნიკურაძის ათეულობით **ზმნური ოკაზიონიზმი: კმარეყოფა** (ნიკურაძე, 2023:40) (საკმარისი იქნება, დააკმაყოფილებს), **მოკომფორტკალათებულა** (იქვე,19)(კომფორტულად მოკალათებულა), **იგდნერვიულობდნენ** (იქვე,7) (მოცდის დროს ნერვიულობდნენ); **ანერვიგულდება** (იქვე, 10) ნერვიულობისგან გული მოსდიოდა), **სული ამოშიმშილხდომოდა** (იქვე,20) (შიმშილის გამო სული ამოხდომოდა), **აეკვალდაკვალა** (იქვე, 27)(კვალდაკვალ აედევნა), **გაუხელწოდა** (იქვე, 43) (ხელი გაუწოდა), **წაესაჭმელსასმელზედმეტა** (იქვე, 20) (სასმელ-საჭმელი ოდნავ გადააჭარბა), **ეთვალხუჭება** (თვალები ეხუჭება), **უთვალცქეროდა** (იქვე,35) (*თვალებში შესცქეროდა*); **ამოიჭაერსუნთქა** (იქვე,43) (*ჭაერი ამოისუნთქა*); **ეთვალსიამოვნა** (იქვე, 33) (*თვალში მოუვიდა, ესიამოვნა*).

საინტერესოა **მიჩნევის ვნებითის** ოკაზიური ფორმა **მესაინტერესოვა** (იქვე,20) (*საინტერესოდ მომეჩვენა*). ე.წ. მიჩნევის ვნებითები ხაზს უსვამს დასახელებული საგნის ან მოვლენის სუბიექტურ აღქმას (ზექალაშვილი, კიკნაძე, 2015).

დასტურდება ოკაზიონიზმებიც, რომლებიც აგებულია გუნების ვნებითთა მოდელზე და გამოხატავს სუბიექტის შინაგან მდგომარეობას: მოქმედების სურვილის, ფსიქოლოგიური განწყობის არქონას (არ იყო გუნებაზე, ეზარებოდა, ან საკუთარ მოვალეობად აღარ მიიჩნევდა).

ასეთებია: **არ ეტანსაცმელრეცხებოდა, არ ესუფთსახლებოდა, არ ეშარვალტოტებოდა, არ ეტოტება და ა.შ.**

ქალებს ძველი შემართებით უკვე არც ეცხელკერძებოდათ, არც ესუფთასახლებოდათ და არც ეტანსაცმელრეცხებოდათ, ამიტომ თითქმის ყველა ოჯახი გაიბზარა. დღეს არცერთ ქალს აღარ ეტოტება (იქვე, 22).

დასტურდება ფორმა **არ ენარციებოდა** (*ნარცია ქალის სახელია, ნარციას გუნებაზე არ იყო*) (იქვე, 43).

საინტერესოა **აბსტრაქტული სახელები: პუპულოგანთქმულობა, მინდალიზმი, მტრედობა, საჭმელხარბიანობა.**

აღსანიშნავია ეთ- სუფიქსიანი ნეოლოგიზმები: **ექიმეთი, ქალებთი (საქალებო), წყვილებთი** (ნიჭირეთის ერთ-ერთი ულამაზესი საპორტო ქალაქი), **ირგვლივეთი: (მიდამო, გარემო), ტვინეთი:**

ენა სამეტყველო ყუთში ჩაეკეტა და **ტვინეთმაც** რამდენიმე წამით ჭიშკარი მიუხურა“ (ნიკურაძე, 2023: 43).

ეს ფორმები ადასტურებს, რომ ავტორი აქტიურად იყენებს ქართული ენის აგლუტინაციურსა და სიტყვათშემოქმედებით პოტენციალს. აქ სიტყვა ფაქტობრივად წარმოადგენს მინიატურულ ტექსტს, ის იტევს მთელ ფრაზას.

გვხვდება საინტერესო მიმღეობები და მიმღეობიანი კომპოზიციებიც: „-ციგრიტის აცრა სასწრაფოდ! შემდეგ კლასიკური მუსიკა ჩაურთეთ! – გასძახა დაბნეულობადა-მარცხებულმა ექიმმა ექთან გულიანას (ნიკურაძე, 2023:45); ხასხასა ლურჯ ფონზე მზის სხივისფერი ორი მოალერსე ლანდი ერთმანეთთან მისულხუტებული მიფრინავდა მამა-ზევაში (იქვე,35); -მიყვარხარ!-სიყვარულით გამოთვალთაყვანებული მზერით უთხრა ნარცია მწუწუს“ (იქვე).

მოკლედ, თ. ნიკურაძის „ციგრიტში“ ოკაზიონიზმები ექსპრესიულობით, ლაკონიურობითა და ინფორმაციულობით ავლენენ მწერლის სიტყვათშემოქმედებით პოტენციალს, რითაც ქართული ენის აგლუტინაციურ შესაძლებლობებსაც წარმოაჩენს და პერსონაჟთა სუბიექტური აღქმის, ემოციური მდგომარეობისა და სოციალური კონტექსტის ვრცელი სემანტიკური საზღვრების გადმოცემასაც ახერხებს.

IV. ლექსიკური თავისებურებანი- ნეოლოგიზმები ნასესხებ სიტყვათა ნაცვლად

თ. ნიკურაძე კალკების ან გავრცელებული ნასესხები სიტყვების გამოყენების ნაცვლად თავად ქმნის ქართულ შესატყვისებს: ვაკანსიის ნაცვლად *სივარიელი გვაქვს*, CV-ს ნაცვლად – *ბიო*, დიალოგის ნაცვლად – *ორთალოგი*, პოლილოგის ნაცვლად – *სამთალოგი*, ნარკოზის ნაცვლად – *ძილოზი*, ჰალსტუხის ნაცვლად – *ყელსაჭერი*, ვალსის ნაცვლად – *ორთატინგიცი*, ფულის ნაცვლად – *ჭუჭყინი*, ინგლისურის ნაცვლად – *ინგლანდიური*.

„პარალელურ რეჟიმში ექიმისა და დედის *ორთალოგი* კარს უკან გაიმართა (ნიკურაძე, 2023: 47); ასე დაასრულა ბებია მხვადასხვა ხასიათში გამართული *სამთალოგი* (იქვე,48); *ძილოზით* მარტივია, პაციენტი ვერაფერს გაიგებს (იქვე, 40); *ყელსაჭერიანი* ადამიანებით გამოტენილი ოთახი დულდა (იქვე, 36); რამდენიმე კვირით ასი *ჭუჭყინი* მასესხე და ძველ ვალთან ერთად დაგიბრუნებ“ (იქვე, 23).

გვაქვს სხვა შემთხვევებიც: აეროპორტის ნაცვლად *ჰაეროვანი პორტი*, თვითმფრინავის ნაცვლად *ჰაეროტრანსპორტი* გვხვდება:

ის ბატონ კამათას შეხვდა *ჰაეროვან პორტში* (იქვე,41); *ჰაეროტრანსპორტით* ძალიან მყუდროკალათებულად იმგზავრეს და დაფრენისთანავე ვაზელინით აპრიალებული ყურყუმელა მანქანა დახვდათ, რომელმაც სტუმრები *გასასტუმრებელში* (სასტუმროში (ნ.ც.) დატოვა (იქვე, 41).

ამდენად, გლობალიზაციის პირობებში, როდესაც კალკირება ინტენსიურია, ზოგი ნასესხები სიტყვა უკვე დიდი ხანია შევითვისეთ, ავტორი ქმნის ალტერნატიულ, მშობლიურ რესურსებზე დაფუძნებულ ტერმინებს. უცხოური ტერმინების ჩანაცვლება ქართული ფორმებით არ არის მხოლოდ ენობრივი თამაში გაბედული ექსპერიმენტი, ეს შესაძლებელია, იყოს ენობრივი პოზიცია, რითაც ტექსტს მიანიჭება ენობრივი იდენტობის ორიგინალური დაცვის მცდელობის ფუნქცია.

იშვიათად გვხვდება ქართული საწყისის გატერმინების ცდაც: *დაკითხვიზაცია*.

მწერლისთვის ენა არ არის უბრალო საკომუნიკაციო საშუალება, ენა წესებს გვკარნახობს. თ. ნიკურაძე *ენას ანგრევს და თავიდან აშენებს*, რათა გვაჩვენოს, რომ ჩვეულებრივი სიტყვები: „ნორმა“, „წარმატება“, „ბედნიერება“ სინამდვილეში ციგრიტის სიმპტომებია.

ოკაზიონიზმები, ენობრივი თამაშები თუ ექსპერიმენტები წარმოადგენს პოსტმოდერნისტულ ტექნიკას, რომელიც ენის სტანდარტულ მნიშვნელობას ირღვევს და იუმორსა თუ ირონიას აერთიანებს. უკანასკნელი საკითხი საგანგებო კვლევას იმსახურებს.

მაშასადამე, ტექსტის ესთეტიკურ ღერძს წარმოადგენს ენობრივი ექსპერიმენტი, ენის შინაგანი პოტენციალის, გამოუყენებელი რესურსების ამოქმედება, რაც სემანტიკურად დატვირთულ ფუნქციურ მექანიზმად წარმოგვიდგება. სამენოვან ტექსტში ამ ოკაზიონიზმების თარგმანი ცალკე განხილვის საგანია.

V. მხატვრული ხერხები და სტილისტიკური ფიგურები

V. 1. ტროპის სახეები

თ. ნიკურაძის მხატვრული ენა მეტაფორულ-ალეგორიულია. არისტოტელედან (არისტოტელე, 1979: 22, 1459ა) მოყოლებული მეტაფორების ქმნალობა მხატვრული ნიჭის საზომად მიიჩნევა.

„ციგრიტისეული“ მეტაფორები: *დაკითხვის რენტგენში გატარება (ანამნეზი) (გვ.8); მოთმინების სათაგურში შეტყუება (მოთმენა) (გვ.45), პრობლემური ფიქრებით დაორსულებულის მიერ გამოსავლის მშობიარობა (გამოსავლის პოვნა) (გვ.43), სიტუაციისთვის გაურკვეველობის ფარდის ახდა (სიტუაციაში გარკვევა)(გვ.23), განცხრომის მტევნებში ნებივრობა (განცხრომა) (გვ.28), ქონების საჭესთან მოხვედრა (გამდიდრება)(გვ.28), დიდი ეჭვიანობის ზღვაში გადაშვება (ეჭვიანობა) (გვ.18), ენის სამეტყველო ყუთში ჩაკეტვა (გაჩუმება, დამუნჯება) (გვ.39)* ქმნის ექსპრესიულ, ვიზუალურად მკვეთრ სურათებს.

კიდევ უფრო საინტერესოა დავიწყების მეტაფორა: *ექიმი ტვინიანის მრავალწლიანი პრაქტიკის სკივრში მსგავსი შემთხვევები აქა-იქ უპატრონოდ დაობებულიყო (გვ.7).*

წარმოდგენაც არ ჰქონდა, ვერ ხვდებოდა: „ვაიმე, შვილო! –წამოიღრიალა პაციენტის ანერვიულებულმა დედამ, იმის მიუხედავად, რომ აზრის მცირეოდენი ნატეხიც კი არ ედო წარმოდგენის თაროზე, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო „ციგრიტი““ (გვ.7).

სიკვდილის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმებია: *იქეთში გადასახლება, ფეხების გაფშვკა.* უკანასკნელი ფრაზეოლოგიზმი სატირულია, ის ნაწარმოების ფინალში გამოიყენა ავტორმა ბაბუის მიმართ, რომელსაც შვილიშვილმა მწარე სიმართლეს ჩაახედა თვალეზში.

გვხვდება საინტერესო შედარებანი: *„ყველას თავში ურტყამს კომბალივით გათლილ არგუმენტებს“ (გვ.29); „ეს სიტყვები მშვილდიდან ზედიზედ ნასროლი ისრებივით მოხვდა ბებუის თავმოყვარეობას“ (გვ.20); „დედა კი სულ კოდალასავით უკაკუნებდა ტვინში, შენს ქონებას გამყარება სჭირდება ქალის ქონებით“ (გვ.30).*

დასტურდება საინტერესო გაპიროვნება-ეპითეტებიც: მეფეს აღარ შეუძლია, კოცნები აყრის, როცა დედოფალზე ფიქრობს ან ხედავს, „ენატრება მისი კოცნაძუნწი ტუჩები და მზერაგასხვისებული თვალები“ (გვ.31).

ხშირად გვხვდება ჰიპერბოლა: *„მაყუსი ოჯახს ფულის მეწყერში ახვევს, რაც ზედმეტზეც მეტია, არათუ ადამიანურად არსებობა რომ ჰქვია (ნიკურაძე, 2023:12); – ციგრიტი! –წამოიძახა ექიმმა და თვალები სიბრაღულის წყალდიდობით დაეტბორა“ (იქვე, გვ.7); „ცრემლაბაზანიანი თვალებით მიაცილებდა ნარცია თვით-მფრინავს“ (იქვე, გვ.23); „გვიანიკამ მინდალა პირველად თავის კონცერტზე შენიშნა“... სწორედ ამ პირველი ნახვისას გვიანიკას გულში სიყვარულის წვიმა წამოვიდა და მთლიანად დატბორა“ (იქვე, გვ.28).*

ანტონიმური პარალელიზმის პრინციპზე აგებული სინტაქსური კონსტრუქციები ტექსტის დინამიკას აძლიერებს და პერსონაჟთა შინაგან წინააღმდეგობებს გამოხატავს: *სულით რომანტიკოსი და გულით შინაბერა (იქვე, გვ.49), ხორცილ თთხმოცი და სულით ოცი (იქვე, გვ.27).*

ამრიგად, ტროპის სახეობები „ციგრიტის“ ტექსტში არა დეკორატიული, არამედ ფუნქციურად დატვირთული ელემენტებია.

V. 2. სტილისტიკური ფიგურები

გროტესკი, ირონია და სარკაზმი

„ციგრიტი“ კლასიკური გროტესკული პროზის ნიმუშია. აქ წარმოდგენილია რეალობის დამახინჯებული, აბსურდამდე მიყვანილი და გაშარჟებული ფორმა, სადაც სასაცილო და საშიში ერთდროულად არსებობს. დეფორმირებული სამყარო ერთდროულად სასაცილოცაა, შემამფოთებელიც და კრიტიკულიც. მთლიანობაში ტექსტი წარმოადგენს გროტესკულ-ირონიულ ნარატივს, რომელშიც გროტესკი ძირითადი მხატვრული პრინციპია, ირონია სტილისტიკური საფუძველია, ხოლო სარკაზმი მძაფრ კრიტიკას ემსახურება.

თანამედროვე პროზაში დისკურსის მრავალხმოვნება ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხატვრულ მექანიზმად გვევლინება. როგორც მ. ბახტინი აღნიშნავს, ენა „ისტორიული არსებობის ნებისმიერ ეტაპზე მთლიანად მრავალხმოვანი ხასიათისაა (Bakhtin, 1981: 291), დიალოგური ბუნებისაა და „ენის სივრცეში არსებული სიტყვა ნახევრად სხვისია“ (იქვე, 293).

თამარ ნიკურაძის „ციგრიტშიც“ სწორედ ასეთი დისკურსული პოლიფონიურობა ქმნის ირონიულ და ალეგორიულ ნარატივს.

მოკლედ, თ. ნიკურაძის ტექსტში სხვადასხვა სტილური რეგისტრი, ირონია და ალეგორიული ფორმა სწორედ ამ მრავალხმოვნებას ქმნის და მკითხველს განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას აძლევს.

მკვლევარი ლ. ჰატჩიონი ამტკიცებს, რომ ირონია არსებითად დისკურსული პრაქტიკაა, რომელიც მოქმედებს სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტებში და არაა მხოლოდ რიტორიკული ფიგურა: „ირონია არ არის მხოლოდ რიტორიკული ტროპი, არამედ პოლიტიკური იარაღი, ერთი თქვას და მეორე იგულისხმოს, რომელიც მკითხველსაც თანამონაწილეს ხდის შეფასების პროცესში“ (Hutcheon, 1994: 2).

აქ ავტორი ამბობს ერთს, გულისხმობს მეორეს. მაგალითად, „ციგრიტში“ რომ ნევროზის სპეციალისტი თავადაა ნევროზული, ეს ირონიაა, მაგრამ სინამდვილეში სისტემის კრიტიკაა. ირონიულია, რომ ნევროზის მართვის სპეციალისტი ვერც პროფესიულად რეალიზდება და ვერც საკუთარ ცხოვრებაში იყენებს ამ ცოდნას, არადა, ეს მისი სპეციალობაა, რომლითაც არასდროს უმუშავია. ქალბატონი ნევრიკის „ბრჭყვიალა“ დიპლომი სიმბოლოა ფორმალური განათლებისა, რომელიც პრაქტიკაში არასოდეს განხორციელებულა.

აქ ავტორი მკითხველსაც ჩართავს, აიძულებს თავად იფიქროს. თ. ნიკურაძის ირონია არასოდეს არის უბრალო ხუმრობა, პოლიტიკური დანიშნულებისაა, ის ყოველთვის სოციალური კრიტიკის იარაღია. „ციგრიტში“ სწორედ რომ მტკიცდება ირონიის დისკურსული ბუნების შესახებ მკვლევარ ლ. ჰატჩიონის მოსაზრება, ირონიით ერთდროულად გამოიხატება კრიტიკაც, ალეგორიაც და სოციალური შეფასებაც.

მ. ბახტინი საგანგებოდ მიუთითებდა კარნავალური სიცილის ძალაზე: მის დესტრუქციულობაზე, სოციალურ-კრიტიკულ ფუნქციაზე. ის უშუალოდ ეხება რეალობას და „გაშლის“ მას. იგი გროტესკულია (Bakhtin, 1984).

სიცილი და გროტესკი საგანს ფარდას ახდის იმას, რაც ხელშეუხებელი ან ტაბუდადებულია. მწერალს მკითხველი მათთან სიცილით მიჰყავს ახლოს, ყველა მხრიდან ათვალიერებინებს. მას სოციალური პრობლემები, რომლებზედაც პირდაპირ საუბარი მძიმეა, სიცილისა და გროტესკის საშუალებით ახლოს მიაქვს მათთან.

კამათას საყვარელი წიგნია „კაცი, რომელიც ტირის“ (შდრ. „კაცი, რომელიც იცინის“), ფილმები: „რაც გინახავს, რატომ ნახე?“ („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“) და „სერტიფიცირებული სასიძო“ („უდიპლომო სასიძო“).

ნაშრომში ვხვდებით ფსევდომეცნიერული გადარჩენის იდეოლოგიის კრიტიკას. დიალოგი ექიმებს შორის პაროდიალია: „მადლობა მე!“ – ამით ავტორი დასცინის ამპარტავნობას.

„ბავშვის ჩასახვის რიტუალის შემოწმება“ ტექსტში ირონიულ-გროტესკულ ელფერს ატარებს. დედამთილი ასრულებს ტრადიციის მცველის როლს. ამ ფსიქოსოციალურ დრამაში ინტიმური სივრცის დარღვევა და სიტყვიერი აგრესია ძალაუფლების ინსტრუმენტად გამოიყენება. ავტორი ამხელს პატრიარქალური ზედამხედველობის უკიდურეს აბსურდულობას.

განსაკუთრებით გროტესკულია **სამედიცინო სცენები**, რადგან რეალურ ამბავს აბსურდული ფორმა ემატება: დაავადებების სახელი, რეაქციები, პროცედურები, გადაჭარბებული ემოციები.

გროტესკულია დიალოგი, სადაც არის მსჯელობა ძეგლის დადგმის თაობაზე, მოყვანილია არგუმენტები, გამოთქმულია აბსურდული იდეები. ასეთივეა ტრანსპორტი, „ვაზელინით აპრიალებული ყურყუმელა მანქანა“.

ტექსტის ფინალში, რომელიც იდეური ღერძია ბუბულიკოს კითხვა ომისა და მშვიდობის შესახებ, ბაბუის „გამრობა“ და „ფეხების გაფშვკა“ – აბსურდული, გროტესკული რეაქციაა სიმართლეზე. ფრაზა: „*ბაბუა იქეთში გადასახლდა, მაგრამ შვილი-შვილი აქეთში დარჩა*“ (გვ.57) იმედის მეტაფორაა.

ასე რომ, გროტესკი, ირონია და სარკაზმი ნაწარმოებში ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სტილისტიკური სისტემის სახით გვევლინება. გროტესკი ქმნის დეფორმირებულ, აბსურდულ რეალობას, ირონია ამ რეალობას მნიშვნელობით ამდიდრებს და მკითხველს აქტიურ ინტერპრეტაციაში რთავს, ხოლო სარკაზმი ტექსტის კრიტიკულ სიმწვავეს აძლიერებს.

საბოლოოდ „ციგრიტი“ შეიძლება შეფასდეს, როგორც თანამედროვე გროტესკული პროზის ნიმუში, სადაც სიცილი არა გართობის, არამედ მხილებისა და კრიტიკული აზროვნების პროვოცირების საშუალებად გვევლინება.

დასკვნა. „ციგრიტი“ თანამედროვე ქართული პროზის ერთ-ერთი ექსპერიმენტული ნიმუშია, გროტესკული თხზულებაა, რომელიც აერთიანებს ეთიკურსა და ესთეტიკურ დისკურსებს. ნაწარმოების სტილი თვითმყოფადია, ნარატივის ლაკონიურობა ღრმა შინაარსის გამომხატველია. სოციალური დიაგნოზის მეტაფორულობა, ენობრივი ექსპერიმენტები, სატირა, ირონია და გროტესკი სტილს ინოვაციურობასა და ორიგინალურობას ანიჭებს. ის გამოხატავს ავტორის მსოფლმხედველობას.

„ციგრიტი“ წარმოადგენს გროტესკულ ტექსტს, რომელიც სატირულ-ირონიულად გვიჩვენებს, როგორ ცდილობს ციგრიტმეყრილი ადამიანი საკუთარი ბედის მართვას, თუმცა ხშირად ხდება საკუთარი სისუსტეების ტყვე. ე.ი. ადამიანი ვერ გაექცევა გარემოს, ძალაუფლებას, ილუზიების ტყვეობას. ავტორი მას ციგრიტის აცრას გვთავაზობს.

ენობრივი ექსპერიმენტი და სოციალური კრიტიკა ორგანულად ერწყმის ერთმანეთს. ისინი ამავე დროს წარმოადგენს ქართული სიტყვის შემოქმედებითი პოტენციალის დემონსტრირებას. ტექსტში სიტყვა ხდება დიაგნოსტიკური ინსტრუმენტი, სოციალური პრობლემების ამსახველი კონცეპტუალური ერთეული.

„ციგრიტის“ სტილი ადასტურებს, რომ ავტორი ფლობს განახლებად, შემოქმედებით ენერგიას. ტექსტი ერთდროულად არის სემანტიკურად კონდენსირებული და კულტუროლოგიურად მნიშვნელოვანი, კრიტიკული და ენობრივად თვითმყოფადი.

ნაწარმოები შეიძლება განვიხილოთ ენობრივი თვითიდენტიფიკაციის მოდელად, სოციალური კრიტიკის ლაპიდარულ ფორმად, თანამედროვე ქართული ლიტერატურის ექსპერიმენტულ ნიმუშად.

„ცხოვრებას ადამიანი თავისივე ხელით ხატავს:“ ყველა ადამიანს შეუძლია საკუთარი ცხოვრება თავად ააგოს, მაგრამ ამ თავისუფლებას ყველაზე მეტად ხელს უშლის არა გარეგანი, არამედ შინაგანი მტერი, ციგრიტი (ვნებები: გაუკონტროლებელი ფანტაზია, ეგოცენტრული ჰედონიზმი და ა.შ.). ციგრიტით დაავადებული ადამიანი საკუთარი ილუზიების ტყვეა.

„მხოლოდ ციგრიტიანი გადარჩა“, – ეს ყველაზე მძიმე სატირული დასკვნაა: ჰედონისტური, ეგოცენტრული ცნობიერება სიცოცხლისუნარიანია, ის არ კვდება, მხოლოდ ფორმას იცვლის. საბოლოოდ დეფორმაცია ანუ ჯანსაღი ცნობიერებიდან გადახრა ნორმად გამოცხადდა. ეს არის კრიტიკა იმისა, თუ როგორ ამართლებენ და აკანონებენ საზოგადოებაში მანკიერებებს.

ავტორის მთავარი გზავნილი ასეთია: ციგრიტი არ არის მხოლოდ ინდივიდუალური სენი, ეს არის კოლექტიური სულიერი მდგომარეობა, რომელიც საზოგადოებაში ღრმად არის ფესვგადგმული. მისი განკურნება შესაძლებელია მხოლოდ თვითშემეცნებითა და კრიტიკული აზროვნებით, მაგრამ მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ციგრიტით დაავადებული ადამიანი თავადვე „იკვლევს“ საკუთარ სენს, რეფორმის ილუზიას ქმნის, მაგრამ არსი უცვლელი რჩება. სწორედ ეს არის ყველაზე რთული, რადგან ციგრიტი პირველ რიგში სწორედ თვითშემეცნების უნარს ართმევს ადამიანს.

ნაწარმოების დისკურსი, განსხვავებული სტილური რეგისტრები და ალეგორიული ფორმები ქმნის იშვიათ მხატვრულ სივრცეს. სოციალური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური პრობლემების არა პირდაპირი, არამედ ირონიულ-გროტესკული ფორმით გაკრიტიკება ტექსტს ძლიერ ექსრესიულობას ანიჭებს.

კვლევის პერსპექტივებია თემატიკის სხვადასხვა კუთხით კვლევა, ნეოლოგიზმების კორპუსული ანალიზი, გენდერული დისკურსანალიზი, ენობრივი ექსპერიმენტების შედარება სხვა თანამედროვე ავტორებთან; ოკაზიონიზმების სტატისტიკური აღწერა და ფუნქციური დატვირთვის შესწავლა. სამეცნიერო ტექსტი თარგმანცოდნეობის კუთხითაც საინტერესო შესასწავლია. ეს მრავალშრიანი ნაწარმოები მკითხველს მრავალგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს.

გამოყენებული ლიტერატურა

არისტოტელე. (1979). *პოეტიკა*. ს. დანელიას თარგმანი. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.

ბერიძე, ნ. (2023). ნასახელარ ზმნათა ოკაზიური ფორმები თანამედროვე ქართულ პოეტურ დისკურსში. *ენა და კულტურა*. N29. მოძიებულია ვებგვერდიდან:

<https://journals.4science.ge/index.php/enadakultura/article/view/1734> (25.03. 2026)

გიგინეიშვილი, ივ. (2014). სიტყვაწარმოების თავისებურებანი „ვეფხისტყაოსანში“. *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*. წიგნი XIV. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გიგინეიშვილი, ივ. (1993). დაკვირვება გალაკტიონ ტაბიძის ენაზე. *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*. წიგნი X. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

- დოჩანაშვილი, გ. (თ.გ.). *პროზაული ნაწარმოებები*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://poetry.ge/poets/guram-dochanashvili/prose> (25.03. 2026)
- ზექალაშვილი, რ., & კიკნაძე, ელ. (2015). *ზმნური ნეოლოგიზმები ქართულ პოეტურ დისკურსში*. ენათმეცნიერების საკითხები. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- კომორიძე, ელ. (2010). გიორგი ლეონიძის ქართული. გ. *ლეონიძისადმი მიძღვნილი ლექსმცოდნეობის IV სამეცნიერო სესია (მასალები)*. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://literaturatmcdneoba.tsu.ge/leqsmcodn-III.pdf> (25.03. 2026)
- ნიკურაძე, თ. (2023). *ციგრიტი*. (ქართულ-რუსულ-ინგლისურად). მეორე გამოცემა, თბილისი: გამომცემლობა „ტალანტარე“.
- ცეცხლაძე, ნ., & ხახუტაიშვილი, მ. (2014). *სტილისტიკა*. თბილისი: გამომცემლობა „ივერიონი“. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://openlibrary.ge/bitstream/123456789/8468/1/Stilistika%202014.pdf> (25.03. 2026)
- ჭიკაძე, რ. (2008). ზმნური სიტყვათწარმოება და ნასახელარ ზმნათა სემანტიკური დიფერენციაცია მხატვრულ ტექსტში ქართულში. *საენათმეცნიერო ძიებანი*. ტ. XXVII. გვ. 260-273. თბილისი.
- ჯორბენაძე, ბ. (1983). მხატვრული ტექსტის ენობრივი ანალიზის ზოგიერთი საკითხისათვის. *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*. წიგნი V. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- Buffon, G.-L. Leclerc de. (1939). *Discours sur le style*. Paris: Librairie Hatier.
- Bakhtin, M. (1981). *The Dialogic Imagination*. Four essays (M. Holquist, & C. Emerson, Trans.). Austin: University of Texas Press.
- Bakhtin, M. (1984). *Rabelais and his world* (H. Iswolsky, Trans.). Bloomington: Indiana University Press. Retrieved from <https://dokumen.pub/mikhail-bakhtin-a-critical-introduction-1.html> (25.03. 2026)
- Hutcheon, L. (1994). *Irony's Edge: The Theory and Politics of Irony*. London: Routledge. p. 2.

REFERENCES

- arist'ot'ele. (1979). *p'oet'ik'a [Poetics]*. Translated by S. Danelia. Tbilisi: Publishing House „Ganatleba“.
- beridze, n. (2023). nasakhelar zmnata ok'aziuri pormebi tanamedrove kartul p'oet'ur disk'ursshi [Occasional Forms of Denominal Verbs in Contemporary Georgian Poetic Discourse]. *ena da k'ult'ura [Language and Culture]*. N29. Retrieved from <https://journals.4science.ge/index.php/enadakultura/article/view/1734> (25.03. 2026)
- gigineishvili, iv. (2014). sit'qvats'armoebis taviseburebani „vepkhist'qaosanshi“ [Peculiarities of Word Formation in “The Knight in the Panther’s Skin”]. *kartuli sit'qvis k'ult'uris sak'itkhebi [Issues of Georgian Word Culture]*. Book XIV. Tbilisi: Tbilisi State University Publishing House.
- gigineishvili, iv. (1993). dak'virveba galak't'ion t'abidzis enaze [Observations on Galaktion Tabidze’s Language]. *kartuli sit'qvis k'ult'uris sak'itkhebi [Issues of Georgian Word Culture]*. Book X. Tbilisi: Tbilisi State University Publishing House.
- dochanashvili, g. (n.d.). *p'rozauli nats'armoebebi [Prose works]*. Retrieved from <https://poetry.ge/poets/guram-dochanashvili/prose> (25.03. 2026)
- zekalashvili, r., & k'ik'nadze, el. (2015). *zmnuri neologizmebi kartul p'oet'ur disk'ursshi [Verbal Neologisms in Georgian Poetic Discourse]*. enatmetsnierebis sak'itkhebi [Linguistic issues]. Tbilisi: Tbilisi State University Publishing House.
- k'oshoridze, el. (2010). giorgi leonidzis kartuli [G. Leonidze’s Georgian]. g. *leonidzisdmi midzghvnili leksmtsodneobis IV sametsniere sesia (masalebi) [IV scientific session of lexicography]*

- dedicated to Leonidze (issues)*]. Tbilisi: Publishing House of Institute of Literature. Retrieved from <http://literaturatmcodneoba.tsu.ge/leqsmcodn-III.pdf> (25.03. 2026)
- nik'uradze, t. (2023). *tsigrit'i [Tsigrit]*. (Georgian-Russian-English). Second edition. Tbilisi: Publishing House „Talantare“.
- tsetskhladze, n., & khakhut'aishvili, m. (2014). *st'ilist'ik'a [Stylistics]*. Tbilisi: Publishing House „Iverioni“. Retrieved from <https://openlibrary.ge/bitstream/123456789/8468/1/Stilistika%202014.pdf> (25.03. 2026)
- ch'ik'adze, r. (2008). zmnuri sit'qvatts'armoeba da nasakhelar zmnata semant'ik'uri diperentsiatsia mkhat'vrul t'ekst'shi kartulshi [Verbal Word Formation and Semantic Differentiation of Denominal Verbs in Georgian Artistic Text]. *saenatmetsniero dziebani [Linguistic Papers]*. Vol. XXVII. pp. 260-273. Tbilisi.
- jorbenadze, b. (1983). mkhat'vruli t'ekst'is enobrivi analizis zogierti sak'itkhisatvis [Some Issues of Linguistic Analysis of Artistic Texts]. *kartuli sit'qvis k'ult'uris sak'itkhebi [Issues of Georgian Word Culture]*. Book V. Tbilisi: Publishing House „Metsniereba“.
- Buffon, G.-L. Leclerc de. (1939). *Discours sur le style*. Paris: Librairie Hatier.
- Bakhtin, M. (1981). *The Dialogic Imagination*. Four essays (M. Holquist, & C. Emerson, Trans.). Austin: University of Texas Press.
- Bakhtin, M. (1984). *Rabelais and his world* (H. Iswolsky, Trans.). Bloomington: Indiana University Press. Retrieved from <https://dokumen.pub/mikhail-bakhtin-a-critical-introduction-1.html> (25.03. 2026)
- Hutcheon, L. (1994). *Irony's Edge: The Theory and Politics of Irony*. London: Routledge. p. 2.